

არაძალადობრივი სტრატეგიები ეთნიკური კონფლიქტის მოგვარებისას

ანი მაზმიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობები/მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი მაზმიშვილი, 26 ივნისი, 2016

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს არაძალადობრივი სტრატეგიები, მათი გამოყენება და შედეგები ეთნიკური კონფლიქტის დროს. ნაშრომის მიზანია განიხილოს არსებული თეორია რამდენად მოქმედებს კონკრეტულ კონფლიქტებზე. ნაშრომში გაცემული იქნება პასუხები შემდეგი კითხვებისთვის: რა იწვევს ეთნიკურ კონფლიქტებს, რა გზები არსებობს კონფლიქტის მოსაგვარებლად და არის თუ არა ეფექტური არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება გამწვავებული ეთნიკური დაპირისპირების დროს.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მთავარ საკვლევ ჰიპოთეზას წარმოადგენს არაძალადობრივი მეთოდების ეფექტიანობის დამტკიცება ევროპული კონფლიქტების მაგალითზე.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია არაძალადობრივის სტრატეგიების სამი ძირითადი მეთოდი: მშვიდობიანი პროტესტი, დარწმუნების მცდელობა, არათანამშრომლობა და ჩარევა. ხოლო ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია სამი ეთნიკური კონფლიქტი: კოსოვო, ინდოეთი, ყარაბაღი. კონფლიქტის გამოწვევის მიზეზები, მისი მიმდინარეობა და მოგვარების გზები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნიკური კონფლიქტები, არაძალადობრივი მეთოდები, ძალის ინტერვენცია, ფერადი რევოლუციები, კოსოვო, ინდოეთი ყარაბაღი.

Abstract

The research topic of the paper is non-violent strategies, their usage and results during ethnic conflicts. The aim of the paper is to discuss to what extent this theory works on certain conflicts. The thesis will try to answer the following questions: what are the reasons of ethnic conflicts, what the ways of their solution are and how effective the non-violent ways can be for resolving intensified ethnic controversies.

A major research hypothesis of the given paper is to prove the effectiveness of non-violent methods on the example of European conflicts.

The first part of the paper deals with the three major non-violent strategies: peaceful protest, persuasion, non-cooperation and intervention. The second part of the paper discusses three cases of ethnic conflict: Kosovo, India, Karabakh. It concerns major reasons of conflict, their progress and ways of resolution.

Key words: ethnic conflicts, non-violent methods, power intervention, colorful revolutions, Kosovo, India, Karabakh.